ნახ. ი. ყეინაშვილისა

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო
სალაღობო
ძველი
თბილისის
მოტივებზე

მზე
მტრედივით
შვენის
სიონს!
საქართველ ოს
ახლა
რა
სჯობს?!
ვინც
წავიდა,
ბედს
ეწიოს!
ვინც
მოვიდა,
გაუმარჯოს!

ნილოსს
ურჩევნოდეს
მტკვარი,
ჩანგი
ურჩევნოდეს
ბანჯოს!
თავის
გარჯით
მონაგარი,
როგორც
უნდა,
ისე
ხარჯოს!

მორის
ფოცხიშვილი

ნიანგი
1
იანვარი
1987

მოვიდა წელი ახალი

ახალი წელი ყოველ წელს მოდის! — ეს ცხადზე ცხადია!
ახლა კალენდრის ფურცლებზე ყველგან ნაძვისხე ხატია!
დიდება ყველას, — დაზგებთან ღამე ვინც თეთრად ათია!
სიცოცხლე ერთი კი არა, იმათი ჯილდო — ათია!
ავავსოთ, რაც ხარვეზია, ვკაფოთ, რაც ეკალ-ბარდია! —
ამას გვირჩევს და გვავალებს დღეს **მშობლიური პარტია!**
ცოცხლობდეს **ხალხი ქართველი** — ამდენის მნახველ-განმცდელი!
ღმერთმა აკურთხოს **ილია**, მისი მამა და გამზრდელი!
წელს ხომ **ილიას** წელია, რწმენის, იმედის წელია!
იმისი სიტყვა უკვდავი გულის ფიცარზე წერია!
ღმერთმა დალოცოს ოჯახი ყოველი ახალმოსახლის,
ახალი წლიდან მთლად ახალ სახლში ვინც იტყვის მოძახილს!
ტ. როსტიაშვილს — მადლობა! **გ. მეტონიძეს** — სალამი!
მაღლა გეჭიროთ, ლომებო, მშრომელი კაცის ალამი!
ეს გაუმარჯოს **მაიას, ნანას, ელისოს, ლიანას** —
რ ო ი ა ლ-ჭ ა დ რ ა კ ე ბ ი ა ნ-ვ ი ო ლ ი ნ ო ე ბ ი ს ა ნ ა დ!..
შრომით ვებრძოლოთ ხორცმეტებს და შემოსავალს უშრომელს,
ჩვენს ანტიპოდებს ვებრძოლოთ, მშრომელ ხალხს სისხლს რომ
უშრობენ!

სჯობს ყოველნაირ ვიდეოს, სჯობს ათასნაირ სტერეოს
დიდი რუსთველის თეატრი, მისი **რობიკო სტურუა!**
ეს—გაუმარჯოს **შადიმანს** — ჩვენს პირტიტველა ავტორსა.
ეს — გაუმარჯოს **დიდ რამაზს** და **მახარაძეს** ავთოსა!
დასს გაუმარჯოს მთლიანად, მის ახალმოსახლეობას!
ვუსურვებ დიდ გამარჯვებებს, ჯანმრთელობას და მხნეობას!
მშვიდად, სიმღერით მობრძანდა ეს წელი — ოთხმოცდაშვიდი!
ნურც რაჭულ ლორის შიში გაქვთ და ნურც გურული საცივის!
ნუღა გაქვთ შიში ჭორის და მოგონილ რადიაციის!
კარგი ვაჟკაცი კარგ საქმეს, ბევრიც უშალო, არ იშლის!
სალამი **თაბუკაშვილს** და სალამი **ერქომაიშვილს!**
ჯ. ჩარკვიანიც „რუსთავის“ წევრებში ჰყავთ გარეული!
ხალხს მოეწონა იმისი „იტალიური რვეული!“
დიდი აკაკი შანიძე სწორედ წელს ხდება ასი წლის!
როგორ იცოცხლა ამდენი — ყველაფერს გვეტყვის, რაც იცის!
ოღონდ ერთი რამ უკითხავს: — რომ არ შემირცხვეს პირიო,
კიდევ რამდენი ვიშრომო, რომ გავხდე შრომის გმირიო?!
არა ჭორების ოსტატი ბოროტი მოლაქლაქენი, —
გთხოვთ, ადღეგრძელოთ ქალაქის რჩეული მოქალაქენი!
ეს საპატიო ტიტული შარშანაც რჩეულთ არგუნეს!
სალამი, ვინაც გვიშენებს მეტროს სულ ახალ სადგურებს!
ფანჯიკიძეს და **გვერდწითელს** — წიგნის მეურვე **ორ გურამს** —
სულ დაუმარცხოს, ქართულ წიგნს ვინც მოექცევა ორგულად!
სხვაც ბევრი არის, ვინც უნდა წიგნის მეგობრად შევრაცხოთ!
აქ სიტყვას ვაძლევთ გამსახკომს და მის ახალ შეფს — **რევაზ ღლონტს!**

ვინც თვლის, მემკვიდრე არ ჰყავთო **ჭაბუკიანს** და **ბალანჩინს,**
ვთხოვთ, **ნინო ანანიაშვილს** ეწვიონ მოსკოვ-ქალაქში!
რომ **ნინოს** ნიჭის ნათელი უფრო ახლოდან გვათბობდეს,
გამოსავალი ერთია: თბილისში უნდა გათხოვდეს!
სიმღერაც გვინდა და თუკი საქმე მიდგება ნდომაზე,
აგერ არა გვყავს **მაია? — ჩვენი მაია თომაძე!**
თბილისში „გრან პრით“ დაბრუნდა **პეტრე თომაძის** მემკვიდრე
და მალე მაყურებელი ოპერის თეატრს შეგვიმტვრევს!..
დაბადებულო ბულბულად, დაბადებულო პოეტად,
პოეტის გარდა სხვა სიტყვა რა გაგრითმოთ, **პაატავ?!**
დგახარ ოპერის თეატრში, როგორც ნამდვილი კოლოსი!
გილოცავთ ჯილდოს — პრემიას დიდი **მარია კალასის!**
ძვირფასი **ინანიშვილი, მახარაძე** და **ჩხეიძე**
იხილეთ შემდეგ ნომერში! (ალბათ სამ-სამ ცალს შეიძენთ!)
ძველი თბილისის მშენებლებს, შორს რომ გაითქვეს სახელი,
ვთხოვთ: ახალ თბილისს მიხედონ და... დაგვიძველონ ახალიც!
დიდება მეჩაიეებს! დიდება მევენახეებს!
მათ შვილებს, მათ შვილიშვილებს და მათს მეორე ნახევრებს!
რაოდენ სასიხარულო, რაოდენ საამურია,
როს საზღვარგარეთ სამ თამაშს ზედიზედ იგებს „გურია“!
მათ, უდედმამო პატარებს, ეს სასახლე რომ გადასცეს,
ასეთ ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებთ კიდევ ათას წელს!
სიკვდილსამც დავიწყებიხართ, **ჩვენო ირაკლი ბატონო!**
შენისთანები დედებმა ყოველ წელს უნდა ბადონო!
„სიკვდილსამც დავიწყებიხართ!“ — რამდენისთვის გვაქვს
სათქმელი!
რამდენის გვიყვარს სიტყვა და რამდენის მოგვწონს საქმენი!

. . .

უსხედან სუფრას ქართველნი, აფხაზნი, ოსნი, სხვა ერნი,
უსხედან სუფრას იმერნი, უსხედან სუფრას ამერნი!..
მშვიდობით, ბედნიერებით მოვიდა წელი ახალი
და უხდის ყველა ოჯახი უალკოჰოლო მაღარიჩს!

ნიანგი

კარგია, რომ გააუქმეს!..

ნამდვილი ამბავი

როცა „პურსა სჭამდნენ და ღვინოს სმდნენ“, მაშინაც კი ამბროლაურში იშვიათად შეხვდებოდით მთვრალს. ერთიორი თუ გაივლიდა ქუჩაში, მაგრამ მათაც ხომ მოვლა უნდოდა?!

ჰოდა, აი, ამბროლაური მიამაგრეს ტყიბულის სამედიცინო გამოსაფხიზლებელს, რომელიც 45 კილომეტრითაა დაშორებული. ამის გამო მილიცია უფრო წუხდა, ვიდრე გამოსაფხიზლებლის სტუმარი. საქმე ის იყო, რომ ტყიბულისაკენ გამწესებული ზარხოში შუა გზაზე ფხიზლდებოდა და თუ შაორის სასადილოში არ აიღებდა დამატებით „საწვავს“, ტყიბულში არ მიიღებდნენ!

ლოთის „კონდიციაში მოყვანა“ შაორზე მილიციელის მოვალეობა იყო.

ახლა კი თავისუფლად ამოისუნთქეს წესრიგის დამცველებმა. „კონტინგენტის“ უყოლობის გამო ამბროლაური გამოეთიშა ტყიბულის სამედიცინო გამოსაფხიზლებელს. ამ ღონისძიების უარყოფითი შედეგი მხოლოდ ის არის რომ შაორის სასადილომ კლიენტები დაკარგა!

ეაჟა სოხაძე
(ქ. ამბროლაური)

„ოქროს ბეჭედი“

ნოველა

ახალი წლის წინა დღე იწურებოდა. მოსაცდელში „საქმეებზე“ ხელებდაწყობილი ხუთი კაცი იჯდა და იატაკზე თავ-თავის ამოჩემებულ წერტილებს დასცქეროდა. შესვლისთანავე მარჯვენა ხელი მაღლა აღვმართე და საალსარებო გულწრფელობით განვაცხადე:

— დარბაისელნო! ერთწამიანი საქმე მაქვს!.. რაღაც უნდა ვკითხო!.. წამიც არ დამჭირდება!.. შესვლა და გამოსვლა ერთი იქნება!.. მეცით პატივი, დროში ვიწვები!.

მოქალაქეებმა იატაკზე კარგა ხნის წინათ ამოჩემებულ წერტილებს თვალი მოარიდეს და ერთმანეთს შეხედეს. სამარცხებური სიჩუმე ჩამოწვა. გულის ბრაგაბრუგით ვგრძნობდი, ჩემი ბედი ბეწვზე ეკიდა!..

ბოლოს მათ შორის უხუცესმა უნდოდ შემომხედა და ხევისბერის კატეგორიულობით დამიქნია თავი:

— იცოდე, შესვლა და გამოსვლა ერთი იყოს!

სიხარულისგან ყურებმა შუილი დამიწყო. მზად ვიყავ, ხუთივეს გადავხვეოდი და გადამეკოცნა, მაგრამ ამის დრო სად მქონდა?! — შესვლა და გამოსვლა ერთი უნდა ყოფილიყო!.

სანამ დარბაისელნი იატაკზე თავ-თავიანთ ამოჩემებულ წერტილეის მოძებნიდნენ, მე უკვე კაბინეტში ვიყავი!.. უადგილო ადგილას რომ მოსისხლე მტერი შემოგეყრება და გარემოებისა და სიტუაციის გამო იძულებული რომ ხარ, ნაღველგარეული ღიმილი სტყორცნო, ისე გამიღიმა დირექტორის წინ მჯდომმა ჩუტყვავილასაგან სახეშეჭმულმა ცხვრისდრუნჩება კაცმა.

— ათას ბოდიშს ვიხდი!.. ხელს არ შეგიშლით!.. ამ წამში გავალ!.. შეკითხვა მაქვს!..

— ახლავე!— თქვა დირექტორმა და მოსულს მიაჩერდა: — მერე?

კაცმა კიდევ ერთხელ მწყრალად შემომხედა, სკამი გააჩოჩა, იდაყვები დირექტორის მაგიდაზე დააწყო და განაგრძო:

— ჩქ... შეშ... ქივძ... ხალ... მიჩ... სიხ... ჩურჩ... — ჩამესმის კანტიკუნტად ჭაღსაშტერებულს. რაში მენაღვლება რაზე საუბრობენ? ერთწამიანი შეკითხვა მაქვს, მორჩა და გათავდა!

ცოტა ხანში ორივემ ერთად შემომხედეს, შეთანხმებულებივით ადგნენ და ფანჯარასთან მივიდნენ.

— ჩუჩ... შიშ... ქაღ... ფშო... ლეშ... ჩღ... — ჩამესმის უფრო ხმადაბლა და. რასაკვირველია, უფრო გაუგებრად.

— მე ერთი წამით!.. ერთი სიტყვა!.. მე ბოდიშს ვიხდი!.. — განწირული კაცის ლუღლუღით ვამბობ.

— ახლავე! — თავს მიქნევს დირექტორი.

ტელეფონი რეკავს. ცხვრისბაკება კვლავ ასპიტივით მიყურებს, თითქოს ეს დარეკვაც ჩემი ბრალი იყოს. ჯიბეში მუშტებჩაწყობილი დირექტორი ზანტად მიდის ტელეფონებთან, მაგრამ სანამ სამივე ტელეფონს ზვერავს, ზარი წყდება. დირექტორი ისევ მუშტებს იწყობს ჯიბეში და ფანჯარასთან მიდის.

ნახ. ვ. კუციასი

აივნიდან შემოსასვლელი კარი იღება. ამ კარიდან მხოლოდ თანაშემწე შემოდის. დირექტორი თავის სკამს უბრუნდება. ფანჯარასთან მდგომი ქორ-შაგირდნი თვალებს არ მაცილებენ. თითქოსდა, თანაშემწის შემოსვლაც ჩემი ბრალი იყოს!.. თავგადაპარსული, მაღალქუსლება თანაშემწე გაშლილ საქაღალდეს უდებს წინ დირექტორს, შემომხედავს და, რაკი დარწმუნდება, რომ მე ჭაღის თვალიერებით ვარ გატაცებული პირზე ხელს აიფარებს და ყურზეაფარებულ დირექტორის ხელს ეჩურჩულება:

— ჭჭ... წრწკ... ჩქჩქ... ცნუმაჭ... ჩამესმის შტორიდან დარხეულ ექოდ. მაგრამ ამ იდუმალი ბგერების გაშიფვრით თავს არ ვიწუხებ. მე ჩემი საქმე მაქვს!.. ერთწამიან შეკითხვას ვესვრი დირექტორს და გავალ!..

— ახლავე! — მიბოდიშებს დირექტორი, როცა თანაშემწე საეჭვოდ საქმიანი კაცის ფუსფუსით გაიხურავს აივნის კარს.

— მე ერთი წამით!.. ერთი სიტყვა!.. ახლავე გავალ!..

დირექტორი ფანჯრისკენ მიბრუნებულთან მიდის და ისევ ივსება კაბინეტი ქარიანი ღამის ტყის გაურკვეველი „შ ფ ქ ს შ-ებით... ზურგზე კარი მომაწვა. დირექტორის მოადგილე შემოდის და ხმაშემოტრიალდება და ფანჯარას მიყრდნობილი, მკლავებჩახვეული, დაღლილი თვალებით შესცქერის:

— მაქრომ ხვალისო, ჭრელ ქათიბით.

— რომელი?

— განაპირა!

— შებინული? საკვამლე? გასაფრენად?

— მიწებებული!

— კარგი!

მოადგილე გადის.

ორი ტელეფონი ერთად წკრიალებს. დირექტორი ჯერ ერთს იღებს, მერე — მეორეს, ერთში — „ჩაულგერი სოხრემაში, ქვაზაი“ —ჩასძახის, ხოლო მეორეს — „თუ არ შეწუხდები, თათბირი მაქვს, ნახევარ საათში დარეკეო“, — სთხოვს. ყურმილებს თავის ადგილას რომ დააწყობს, დაიხრება და მაგიდის ქვემოთ კნოპს გაატკაცუნებს.

— ახლავე! — თანაგრძნობით აღსავსე მზერა მესროლა დირექტორმა, მაგრამ სანამ ჯიბეში მუშტებჩაწყობილი ფანჯარასთან მდგომ, ნარბენი მგლის სუნთქვიან კაცთან მივიდოდა, მე უკან გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და კარი გამოვიხურე.

მოსაცდელში მსხდომთა აღშფოთებული სახეები ერთი კი მომენათნენ და წყრომის ნიშნად კედლისკენ შებრუნდნენ. მივხვდი, რომ ისინი აღარავის აღარასოდეს დაუთმობენ რიგს, „ერთი წამით, შეკითხვა მაქვს, შესვლა და გამოსვლა ერთი იქნებას“ უბადალებული მოტივით.

კიბეზე ვეშვები და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს თავის ქალა შიგნიდან მეფხანებოდეს!..

საშინელი გრძნობაა, ხომ კი?!

რევაზ მიშველაძე



ნახ. გ. ლომიძისა

გადაძალა!

„ნიანგის“ საპატიო დაფა

მატარებლების მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა და სამანევრო სამუშაოთა უსაფრთხოების წესებისათვის ყურის ართხოვებით და მოძრავი შემადგენლობის დაფრთხობით ამიერკავკასიის რკინიგზაზე ამიერკავკასიის რეკორდი **დაამყარა მ ე ხ ტ ი ა ლ ი-ო ღ ლ ი ა ლ ი ხ ა ნ ო ვ მ ა!— მარნეულის სადგურზე მორიგეობისას მან შეძლო ლიანდაგიდან გადაეგდო 9 ვაგონი, რის შედეგადაც დაზიანდა რკინიგზის ხაზი 80 მეტრზე და ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა მთელი 17 საათით!.**

მოძრავი შემადგენლობის დაფრთხობით, მართალია, სული არავისთვის გაუფრთხობინებია **მ ე ხ ტ ი ს**, მაგრამ **მის მიერ დამყარებული რეკორდი 103.422 მანეთის ზარალით გამოიხატა!..**

მართლმსაჯულებამ მაღალი შეფასება მისცა ასეთ სავალალო შედეგს — **5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მ ე ხ ტ ი ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ს!**

ქ. რუსთავში უ მ უ შ ე ვ რ ა დ მცხოვრები **რ ო მ ა ნ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე კ ა რ ა ჩ ო ვ ი** დიდხანს ფიქრობდა, თუ როგორ მიექცია ხალხის ყურადღება, როგორ დაემსახურებინა მისი პატივისცემა, და ბოლოს **გადაწყვიტა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე შეესრულებინა ცეკვა „ხანჯლური“! გადაწყვიტა და დაიწყო კიდეც მისი შესრულება, მაგრამ რაკი შეატყო, ღვინო დავლურის მაგიერ რვიანებს ახაზვინებდა და ცეკვაშიც ვერაფერი შვილი იყო, ცინიკური შეძახილებითა და თვალების თავხედური ბრიალით სცადა დამსწრეთა გულის მონადირება, ესეც აღარ აკმარა მათ, უწმაწური სიტყვების კორიანტელი დააყენა. ამ კორიანტელში ჯერ მილიციის სასწავლებლის კურსანტი გაახვია, მერე კი ბასრი დანით, ცეკვაში გამოსაყენებლად რომ ჰქონდა წამოღებული, მუცელში დაჭრა ერთი მოქალაქე!..**

რადგან ცალი ხანჯლით... დანით ცეკვავდა, ხუთიანი მაინც არ დაუწერეს — **4 წლით თავისუფლების აღკვეთა აკმარეს!**

ზუგდიდის რ ა ი ო ნ ი ს **სოფელ ინგირის მცხოვრები ნ უ გ ზ ა რ მ ი ხ ე ი ლ ი ს ძ ე კ ვ ი ც ი ა ნ ი** გაუხედნავი კვიცივით მიაჭენებდა **ცხაკაიას №5 ტრესტის ავტოსაწარმოს მანქანას.** არავინ იცის, რას ემართლებოდა ადრე ნასამართლევი **ნ უ გ ზ ა რ ი** შემხვედრ ავტომანქანას. რა ჯავრი სჭირდა მისი მძღოლისა, რომ ასე გამეტებით დაეჯახა მას და სიცოცხლეს გამოასალმა, მგზავრები კი საგრძნობლად დააშავა!.. დაზარალებულის მანქანა აალდა თვალსა და ხელს შუა, **ცეცხლმა წაიღო 5056 მანეთი — ასე შეფასდა ზარალი,** მაგრამ რა აანაზღაურებს უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს, თავაწყვეტილი მოჯირითის თვითნებობას რომ შეეწირა?!

ამაზე ფიქრისთვის **9 წელი მისცეს ვაი-ავტომძღოლს,** ეს საკმაო დროა იმისათვის, რომ მან შეიგრძნოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

ს. ხვამლელი

ნახ. მ. აბაშიძისა

უსიტყვოდ

მაწანწალა

ახალ წ ე ლ ს შინ გვიან დაბრუნებულ გიორგის გზაზე უცნობი გადაუდგა და კანფეტი გაუწოდა.

— გილოცავთ ახალ წელს! — გაუღიმა უცნობმა.

— მე რომ კანფეტი არა მაქვს?! — შეწუხდა გიორგი.

— არა უშავს, საფულე იყოს!..

გურამ ინასარიძე

ნახ. შ. ლელაძისა

— რა იყო, რამ შეგაშინა, შე ქალო?! ვერ ხედავ, ახალ წელს რომ მილოცავს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ინჯია

ცნობილ პოეტს, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრს და გორის განყოფილების პასუხისმგებელ მდივანს, ჯემალ ინჯიას დაბადების 50 წელი შეუსრულდა.

სალაღობო სტრიქონები

დიდსულოვნება იმგვარი ბევრისგან ჯერ არ მიგრძნია,
მე მაგრძნობინა როგორიც ბაჯაღლო ჯემალ ინჯიამ!
არის მზიური პოეტი, მომადლებული ნიჭია!
მის აჯანყებულ ლექსებში რითმები რითმებს მიჯრია!
პირველი პატრიოტია, პირველი ჯგუფის სისხლი აქვს!
ყველა მასალას ვუბეჭდავ, არც ერთი არ გამისხლია!
მუსიკალური სმენა აქვს, — რომ შემურდება ბევრ პოეტს!
მისებურ რითმას, მერწმუნეთ, სხვის სტრიქონებში ვერ პოვებთ!
არის საამო მთარგმნელი სერგეი ესენინისა!
სწამს მეგობრობა უზომო და ზომიერი ღვინის სმა!
დაბადების დღეს ვულოცავ იუმორი და სატირა!
თუ დამპატიჟებს, მე ჩემი ჩანგლით ვეწვევი სადილად!

ნიანგი



მეგობრული შარჟი ნანი ფსიტიძისა (ქ. გორი)

ქალბატონო „ენ“!

ნუ აჰყვები ჭორს, ქალბატონო „ენ“! —
შეგიტყუებს შორს — ჭაობისაკენ!..
თუმც გონებას ღლი, ქალბატონო „ენ“,
ვერ ასხვავებ ფლიდს და პირდაპირ მთქმელს!

ვინც რა უნდა თქვას, ქალბატონო „ენ“,
გაჯერებს, რომ ქვას გამოადენს წვენს!
ჭორს რომ უგდებ ყურს, ქალბატონო „ენ“,
ვისიც რამე გშურს, სიხარულით კბენ!
ჭორს დიდი აქვს ყბა, ქალბატონო „ენ“,
და იმ ყბაში ხვალ ჩავარდებით თქვენ!

* * *

თავისი რომ არ უჭყავის, — სხვის აზრებს
იმეორებს ჩვენებიანთ კაკატო
ისე, როგორც ზოოპარკში ფიცარზე
დასკუპული თუთიყუში კაკადუ!..

პროკრუსტეს სარეცელი კრიტიკოსის ოთახში

სარეცელზეა სარეცენზიო წიგნი!..

* * *

ყველას კილავ აქეთ-იქით!
დახვალ, როგორც მაკე ტიკი!
ინდაურის ეთიკა გაქვს! —
შორს ვერ წახვალ მაგ ეთიკით!

„დ ო ნ ე“

ერთი სოფლელი დაწინაურდა
და ერთი სიტყვა ამოიჩემა.
ხმარობს უცხოსთან და შინაურთან,
ფიქრობს, რომ ამით გამოირჩევა: —

„მე ამ მუშაკის არ მომწონს დონე!
დაბალი დონის პიროვნებაა!
მაგას რა უნდა ქალაქში! ვგონებ,
ერჩივნა სოფლად მიწა ებარა!“

„ეს იმ დონეზე!“ „ის ამ დონეზე!“ —
ზის, ანაწილებს დონეებს უხვად.
„დაბალ დონეზე დგას ვერონეზე!..“
ეს სიტყვა ისე ძალიან უყვარს,

რომ უკვე მეტი არ ჰქონდათ ღონე,
ამოუვიდათ ყელში და ხალხმა
პატივცემულ ტიპს დაარქვა „დ ო ნ ე“,
რომელსაც უნდა მივმართოთ ახლა: —

ცით მოვლენილო ბატონო ხვითო,
სხვის დამდაბლებას რატომ ისახავ?!
ხალხს როცა დონეს უწუნებ, — თვითონ
რატომ არ ფიქრობ, რა დონისა ხარ?!

მაჯამა კარიერისტზე

შენზე ამბობენ, ულირსო,
სკამი სიცოცხლედ ულირსო!

* * *

დაწინაურდა!.. აწი რა უნდა?!

* * *

მე რომ გითხარი, — ჩემი კარგი დაა
ყარყატი, —
ცხვირი დაუშვი, გაიფხორე და აყავყავდი!..
სიმართლეს ვლოცავ და მოგიგებ
სიმართლესავე:
ინდაურებთან ვერასოდეს ვინათესავებ!

„გმირი“ ტურა

უშრომელად ქაფავდა
თითქმის დაბადებიდან,
ტურად ჩანდა ვაჟკაცთან,
გმირად ჩანდა დებილთან.

დააგროვა და მერე
პატრონებიც ეოხრა.
თვლიდა ვილაც-ვილაცებს
თავის მწედ და მეოხად.

სახლი წამოუჭიმავს
გაზრდილს შაქარყინულში,
როგორც უგემოვნობის
თვალსაჩინო ნიმუში.

შემოუკრავს გარედან
ჯავშანი თუ ზეგთარი,
რომ არავინ გათვალოს
ეზო — ერთი ჰექტარი.

გაიხედე, პროსპექტზე
ისევ დადის ფარფაშით,
თუმცა კლანჭი დროებით
ჩაუგია ქარქაშში.

სხვების სახლებს დაცინვით
ის უწოდებს ქოხმახებს
და არ იცის, რომ ეს დრო
მაგას „დაუთოხმახებს“.

* * *

ვერ დაგიმალავთ: საყვედური
მაღიზიანებს სახედრული!

ნახ. ზ. ლელაკანი

— სკალპელი!

— ინებეთ, ექიმო! მხოლოდ გთხოვთ გაუფრთხილდეთ, მეტი აღარა გვაქვს!

ᲒᲣᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲣᲠᲘᲡᲮᲚᲘᲡ!..

ᲐᲠᲐᲛᲘᲜ იცი, თავიდან როგორი განზრახვით დაიწყო **ᲒᲐᲝᲜᲗ ᲥᲝᲠᲜᲘᲫᲔ** მეცხოველეობის **საკონტროლო ᲒᲐᲠᲜᲐᲚᲘᲡᲐ** ᲗᲔᲛᲐᲨᲘ, მაგრამ შესაძლებელია ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲒᲔᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲡ, ᲗᲣ ᲡᲔᲚ ᲛᲝᲛᲪᲣ ᲜᲐᲛᲪᲘᲡ გასულა.

დიახ, ნამცი კი გაიფა ქორნინის ყოფილი **ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐᲜᲓᲠᲔ ᲥᲝᲜᲘᲫᲔᲔᲜᲘᲡ**, ᲠᲐᲠᲛᲝᲜᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲫᲔᲑᲠᲘ **ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ** ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ, ᲒᲐᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲕᲐᲡ, ᲗᲣ ᲡᲔᲚ ᲛᲝᲛᲪᲣ ᲜᲐᲛᲪᲘᲡ გასულა.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗ ᲣᲤᲠᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲪᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ

ამ წელს იმას გაუმარჯოს, ვისაც კაცის ქუდი ხურავს,
ვისაც მხრები დაუღლია ჩვენი ქვეყნის სამსახურად,
ვინც გასულ წელს შრომის ფრონტზე მოიხადა ვალი
სრულად,
ვინც მოიმკო სიყვარული ერთგულების საფასურად,

ვინც ტრაბახს და ენის ქავილს გაუმართა ცხარე ომი,
ვინც გასაპნულ ნიჩბის პირზე დადო ყველა ავის მდომი,
ვინც მშვიდობის სამსახურში მთელი წელი გაატარა
და საბჭოთა მშრომელები უღრუბლო ცით გაახარა!..

იმას კი არ გაუმარჯოს, პარაზიტად ვინაც ცხოვრობს,
ვისაც მტრობა, შური, გესლი, ამოქმედებს ავს და
ბოროტს,
ვინც მარცხენა ხელის თითებს მელნის გესლში
აბანავებს
და ბილწ ენას ასპიტივით აქეთ-იქით აქანავებს!..
აბა, იმას რა ვუსურვო, ვინც აქვეა, გვერდით სახლობს,
ვინც ქუჩაში ნაძვს მოჭრის და სახლში დადგამს
საახალწლოდ?!
ვინც უშრომლად, გაურჯელად თქვლეფს და შთანთქავს
ერის სარჩოს,
ასეთ ხარბს და ღორმუცელას რატომ უნდა გაუმარჯოს?!
ვინც ტაძრებში ფრესკებს ფხაჭნის, ზედ გვარს აწერს
მჭრელი დანით,
ტელეფონის ყურმილს გლეჯს და მთვრალი დაძრწის
დღით და ღამით,
ვინც ჰაშიშით, ვინაც მორფით სხვებს წამლავს და იმით
ჩარჩობს,—
ასეთ ბილწსა და გარეწარს როგორ უნდა გაუმარჯოს?!
ვინც ტბორებში ნაღმს აფეთქებს ან თოფს ესვრის
ირემს ტყეში,
სარეველას თესლებს აბნევს ჩვენი ქვეყნის სამოთხეში,
ვისაც უნდა უშრომელი შოვნისათვის დაიხარჯოს, —
ასეთ ოხერს, გაიძვერას, ნურასოდეს გაუმარჯოს!
ვინც გზისპირზე სარკეს გატეხს, ფულისათვის ვაზს
გაკაფავს,
ვინც სახალხო ფულს და დოვლათს ჭუჭყიანი ხელით
„ქაფავს“,
ვინც სამშობლოს სახელს არცხვენს, წაბილწული სულით
ვაჭრობს, —
არა, ასეთ ნაძირალას არასოდეს გაუმარჯოს!..
შენ კი, ჩვენი ქვეყნის ძალავ, ჩემო ხალხო საყვარელო,
გარდაქმნის 'და დაჩქარების საიმედო საძირკველო,
გაიხარე! მრავალ ახალს დაესწარი გამარჯვებით,
ყველა ოცნების და გეგმის ახდენით და განაღდებით!

ვალერიან მამუკელაშვილი

ნახ. ნ. ასლამაზიშვილისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

უსიტყვოდ

ლეონიდ სუხორუკოვი

(ქ. კიევი)

● **პირდაპირი კითხვა:** შეუძლიათ თუ არა ფიფქებს თოვლის პაპას თავბრუ დაახვიონ?

● **ერთი საქმეა,** იყო მარად ახალგაზრდა, მეორე — მარადმწვანე! — ფიქრიანად ფილოსოფოსობდა საახალწლო ნაძვის ხე.

● **საახალწლო მეჯლისზე** ფიფქია ყველას აჯილდოებდა თავისი სულის ბენგალიური ცეცხლით.

● **თოვლის პაპას** აფორიზმი: „იუმორი არ და ბერდება, თუ მას რეგულარულად გავპარსავთ წვერს!“

● **ფიფქია** თვალფიფქიანი ევედრებოდა თოვლის პაპას; — ახალი წლიდან მთელი სიტყვიერი წყალი სამუდამოდ გაყინეო!

● **საახალწლო** რიტუალი: ახალი წელი საზეიმო დაპირებას იძლევა, რომ არასოდეს გახდეს ძველი!

● **სადამდე** დაეცი! — უსაყვედურა ერთმა ფიფქმა მეორეს.

● **როცა** თოვლის პაპამ წითელქუდა საცეკვაოდ გაიწვია, ფიფქია მგლის თვალით უმზერდა მათ.

● **ახალი** წლისთვის თოვლის პაპამ ვალდებულება აიღო, გაალხოს უფრო მეტი ობიექტი, ვინემ მშენებლებს ჰქონდათ გაყინული.

● **თავქარიანობა** მით უფრო საშიშია, როცა ბრუჟი ურევია! — ფილოსოფიურად მსჯელობდა თოვლის პაპა საახალწლო მაგიდასთან.

● **საახალწლო** მეჯლისზე თოვლის პაპამ ყველას გასაგონად აღიარა; — სპირტიანი სასმელებისადმი გულგრილი გავხდიო!

● **უკანასკნელ** ხანებში ისე არაფერი მითოშავს სულს, როგორც შამპანურის წინწკლები! — განდობილად უთხრა ფიფქიამ წითელქუდას.

თარგმნა ელგუჯა მერაბიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო დრო, როცა ადამიანებს, სოფელში კი არა ქალაქშიც, წარმოდგენაც არ ჰქონდათ იმაზე, რომ შესაძლებელი იქნებოდა საცხოვრებელ ბინაში წყლის შეყვანა და იქ მისი წყაროსავით ჩქეფა. მაგრამ ტექნიკურმა რევოლუციამ რა არ გახადა მოსახერხებელი! ახლა განურჩევლად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, თანამდებობისა, რწმენისა და მოსაქმეობისა, საზოგადოების ყველა წევრის ბინაში ერთნაირად მოჩქეფს ცივი და ცხელი წყალი. შეხვალ სამზარეულოში, მოუშვებ ონკანს და ნელთბილ წყალში სიამოვნებით რეცხავ ჯამჭურჭელს. ასეა საშხაპეშიც: დრო და ჟამის შესაფერად, გინდა, ცივ შხაპს მიიღებ. გინდა, თბილს. მანამ შენ ამ გამალაღებელი პროცედურით ხარ გართული, ოჯახის სხვა წევრები პირსაბანში იწესრიგებენ სახეებს. მოკლედ რომ ვთქვათ, შექმნილია მოხერხებულობის მაქსიმუმი, რომ ხანდახან ჩვენივე მოუწესრიგებლობა და დაუდევრობა არ გვიშხამავდეს გუნებას და არ გვაც ლიდეს სიქას!..

მუდმივად გამძლე არაფერია ამქვეყნად. ეს სანტექნიკური მოწყობილობის მასალებსა და კვანძ-დეტალებზეც ვრცელდება. გამონაკლისი არც ჩემი პირსაბანის მუხლი, ეგრეთ წოდებული სიფონი აღმოჩნდა. ერთ დღეს გასკდა და თქრიალით გამოუშვა წყალი. უპირსაბანობა, აბა, როგორ იქნებოდა და მეორე დღესვე **თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, ჩემი ფიქრით ყველაზე დიდ და საოჯახო საქონლით უკეთ უზრუნველყოფილ სანტექნიკურ მაღაზიას მივაკითხე.**

— ხიფონი, ხუთი თვეა, თვალითაც არ გვინახავს! — მითხრა გამყიდველმა და რომ ნახა, ჩემს განწყობილებას ბზარი შეეპარა, ყასიდად მითხრა, **ბარათაშვილის ქუჩაზე, სამრეწველო საქონლის მაღაზიაში, უსათუოდ იშოვითო!** იქითკენ გავწიე. მაღაზიის მიგნება რომ გამიჭირდა, უცნობ მოქალაქეს ვკითხე. რომ მიმასწავლა, უნებურად ჩამეკითხა, იქ რა დაგჭირვებიათო? პირსაბნის „მუხლს“ ვეძებ-მეთქი.

— ოო, იქ პლასტმასის კი არა, თუჯის „მუხლიც“ შეგიძლიათ შეიძინოთ, ამოსარჩევად არის! — დაუმატა მისამართს უცნობმა და გზა განაგრძო.

რა თქმა უნდა, თუჯის „მუხლს“ ვიყიდი, დიდხანს გაძლებს, საზრუნავი მომაკლდება! — ამ ფიქრით ლაღად შევედი მაღაზიაში. გამყიდველმა ქვა ააგდო და თავი შეუ-

„მუხლის“ ძებნაში დაღლილი მუხლები

ფელეტონი

შვირა: არც კი მახსოვს, როდის გვქონდა „მუხლი“, თუჯისა ვინ ჩივის, პლასტმასისასაც კანტიკუნტად ვღებულობთ. **თქვენ მიბრძანდით აგერ ახლოს, „პირიმზეში“, იქ უსათუოდ იშოვითო!**

ვუსმენდი გამყიდველს და თვალწინ მედგა უცნობის სახე, ეშმაკური ღიმილი რომ უკრთოდა ბაგეთა ბოლოებში.

სხვა რა გზა იყო, უკვე საკმაოდ დაღლილი და იმედგაცრუებული **ვეწვიე „პირიმზეს“. სარდაფში ჩამასწავლეს, იქ არისო სანტექნიკური სახელოსნო!** ის იყო, ვიწრო დერეფანს გავცდი, რომ უსიამო სიბნელეში მოვხვდი, ფრთხილად ჩავუყევი კიბეს. უნებურად გამიელვა ფიქრმა, აქაურობას **„პირიმზე“** კი არა **„პირსიბნელე“** უნდა ერქვას-მეთქი. სანამ უღიმღამოდ მოკიაფე ნათურამ არ გამოანათა დაბლიდან, კინჩხის მოტეხის შიში არ გამჭრობია. სახელოსნოში ერთი კაცი ჩალიჩობდა. რომ გაიგო, რისთვის ვეახელი, მოჭრით მითხრა:

— „მუხლს“ მთელი ქალაქი დაეძებს!

— ხომ ვერ მიმასწავლით, სად შეიძლება მისი შოვნა?

— აგერ, ასიოდე მეტრზე სახინკლე რომ არის, ხომ იცით?

— ვიცი.

— იმის ცოტა იქით არის სანტექნიკური სახელოსნო. იქ თუ მოგიხერხებენ რამეს!

იქაც ვერაფერი „მომიხერხეს“. რადგან მუხლებში ძალა უკვე გამოლეული მქონდა, „მუხლის“ ძებნა იმ დღეს შევწყვიტე. კვირის თავზე ხელახლა დავუყევი ნაცნობ მარშრუტს. ამაოდ! **„პირიმზის“ სარდაფში მოფუსფუსე სანტექნიკოსმა ამჯერად გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის №15-ში მიმასწავლა. ნახევარსარდაფის ტიპის ორ ოთახში მართლაც ბლომად ეყარა ნაირ-ნაირი სანტექნიკური მოწყობილობა, გული გამინათდა, მაგრამ ამაოდ, „მუხლი“ არ ჩანდა-..**

— საღამოჟამს მობრძანდით, დამპირდნენ, მოგიტანთო! — მითხრა ახალგაზრდა კაცმა. მთელი დღე იმედიანად ვიყავი: ბოლოს და ბოლოს, „მუხლს“ ვიშოვი-მეთქი! კაცი ბეჭბდა, ღმერთი იცინოდაო!..

— მე სხვამ მომატყუა, თქვენ მე მოგატყუეთ! — მომიბოდიშა სახელოსნოს პატრონმა და **პავლოვის ქუჩაზე მირჩია წასვლა: იქ საშენი მასალების საფირმო მაღაზია გახსნეს ამ დღეებში, საშენი მასალების კომბინატიც იქვეა, „მუხლებსაც“ იქ ამზადებენ და მაღაზია სავსეა** ყველაფრითო!

სიტყვამ „სავსეა“ იმედით ამავსო და გულდინჯად, მუხლმაგრად გავწიე „მუხლის“ ძებნის ახალი მიმართულებით. **საფირმო მაღაზიაში სიხალვათე დამხვდა, პირსაბნის ნიჟარა კი იდო კუთხეში ნიმუშად, „მუხლი“ კი არსად ჩანდა!.. თაროები დატვირთული იყო ნაირ-ნაირი ჭურჭლეულობით, უფრო მეტად — ფართო მოხმარების საგნებით.**

— აქ სამშვენი ნივთები უფრო მეტია, ვიდრე საშენი მასალები! — ჩაილაპარაკა საშუალო ტანის მოქალაქემ და განაწყენებული ტონით იკითხა, „მუხლი“ რატომ არა გაქვთო? მას შემდეგ სამ თვეში ხუთჯერ მაინც მივაკითხე საფირმო მაღაზიას. რომ ნახეს, ძალიან ვიყავი შეწუხებული, სამი მობაასე მამაკაციდან ერთ-ერთმა თანაგრძნობით მითხრა: — **ვაზისუბანში არის ახალგახსნილი მაღაზია, იქ „მუხლიც“ ბლომად არისო!** მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ დაქანცული ვიყავი, თავქუდმოგლეჯით გავვარდი ვაზისუბანში — თბილისის მეორე ბოლოში. გულისხმიერებით შევვარდი მაღაზიაში. „მუხლს“ რომ მოვკარი თვალი, დიდად გავიხარე, მაგრამ დახეთ უცნაურობას, გამყიდველი უარზეა:

— ცალკე „მუხლს“ არ ვყიდით! ნიჟარასთან ერთად უნდა შეიძინოთ!

— მე ნიჟარა არ მჭირდება, მარტო „მუხლი“ მინდა !— შევღაღადე.

— მაშინ რვა მანეთი უნდა გადაიხადოთ!

ამდენი ფიზიკური გაწამაწიის შემდეგ უცებ მორალური ბარიერი გადამეღობა წინ: ოთხ მანეთად და რამდენიმე კაპიკად ღირებულ საქონელში რვა მანეთი მივცე? სინდისი წვავიდინო? საბჭოთა ვაჭრობის წესი, კულტურა ფეხქვეშ გავთელო? მაგრამ რომ ვნახე საუბარს, შეგონებას არავითარი აზრი არ ჰქონდა და **ხუთ თვეზე მეტ ხანს თბილისის მაღაზიებში უშედეგო ხეტიალიც რომ დამიდგა თვალწინ, დავუევი გამყიდველის სურვილს და „მუხლიანად“ გველნაკბენივით გავშორდი იქაურობას!**

ახლა გასავათებული ვზიავარ საწერ მაგიდასთან, თან ვფიქრობ: კიდევ კარგი, რომ ეს ფელეტონი ფეხით არ იყო დასაწერი, თორემ ვერც მარცხენა, ვერც მარჯვენა მუხლი ვერ გამიძლებდა!..

კოტა ახალკაცი

საახალწლო სურვილი ზოგიერთ შვილს

** იცოდე** ჩ ე მ გ ა ნ: ადამიანი სიკეთის მექვლედ იბადება! შენც ამ მისიით მოევლინე საქართველოს! საქართველო იმთავითვე ერის სიმცირეს განიცდიდა, აწუხებდა! აწუხებდა იმიტომ კი არა, რომ ცხვრის ფარასავით მოვმრავლებულიყავით, მომთაბარეობისათვის მიგვეყო ხელი! — ქართველი სტატისტიკური ცნობისათვის არ იბადება! ახალდაბადებულ ქართველს ოდითგან შუბლზე ყოველთვის აწერია: **გიყვარდეს შენი მშობელი, შენი ერი, შენი საქართველო! შეგეძლოს შენი ენისა და შენი მიწა-წყლის დაცვა-შენარჩუნება, რითაც ხარ წარმოჩინებული! ეცი პატივი სხვა ერებს და დააფასე მათი სულიერი თუ მატერიალური კულტურა!** — აი, ხომ გესმის, რა აზრი და რა შეგნება აქვს საქართველოში თუ საქართველოს გარეთ დაბადებულ ქართველს?!

ალბათ იკითხავ, ამნაირი ქართველობა ილიასთანა ერისკაცებს თუ შეუძლიათ! მე კი?..

შენ კი, ჩემო შვილო, გულზე ამოიკაწრე: იმას, ვინც ერისკაცობის ტვირთს იტვირთავს, ხანდახან უნდა შეენაცვლო! თუ ის ტიტანური ენერგია და ტალანტი არ გაქვს ერისკაცობისა, ილიას რომ ჰქონდა, ტვირთი მაინც შეუმსუბუქე ერისშვილებს! ტვირთის შემსუბუქება კი ის არის, რომ იმგვარად უნდა იცხოვრო და ილვაწო, როგორც დიდი ილია ცხოვრობდა და ილვწოდა! თუ მიწის მუშაკი ხარ, მოუარე შენს ბაღსა და ვენახს! თუ მეცნიერი ხარ, იმეცნიერე! თუ ხელოვანი ხარ, მწერალი ხარ, შენი ნიჭი ერს შესწირე! — ერთიათად დაგიბრუნდება! თუ საქართველოს ყმა ხარ, იყავი კაი ყმა! მარად გედგას ქართველობის ღირსების უღელი ისე, რომ მემთვრალეობა არ მოგერიოს, არ დაგჯაბნოს უსაქმურობამ! — შენს ხნულში სხვამ არ დაგასწროს თესლის ჩაგდება!..

იქნება გაიფიქრო: ჯერ კიდევ ყრმას ავტომანქანა, ქეიფი, ვიდეო, აგარაკი მინდა და ჩემი შრომით ჩქარა ამათ ვერ ველირსებით!

აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია! ეგეც არ იყოს, ჩემო შვილო, შრომას ოდითგან ჩვენებური გაგება აქვს. შრომა შენი სულიერი და მატერიალური ფასეულობის გამაწონასწორებელია, პატიოსნების გვირგვინია, დაუმსახურებელი მანეთის მოძულეა! თუ ჭეშმარიტი შრომით მანეთის მოპოვება გიჭირს, მოუხმე აზრიან ნებისყოფას, გარჯას!.. იშრომე, იფიქრე პატიოსნების გვირგვინზე! კაეშანს თავს ნუ მისცემ! — უიმედობა არ ეკადრება ქართველს! შენ დაიბადე სიკეთისათვის, სიკეთე კი დიდი ნებისყოფით იქმნება!

ბოროტია ის, ვინც უზნეობის გზას არ გადაგილობავს, მიჩქმალავს, გაცლის დანაშაულის ჩადენას, დუმილს არჩევს!..

დუმილი საშინელებაა! ქართველი კაცი დუმილისთვის არ დაბადებულა! ის დაიბადა სამყაროს სილამაზისათვის, [illegible] ხმიანობისათვის!.. ეროვნული სახის სილამაზე კი ლოთობით, უსაქმურობით არ შეიქმნება!

მე შენთვის არაერთხელ მითქვამს: ამქვეყანად იმდენს უნდა ვეცადოთ, რომ ლამაზად ვიცხოვროთ! სილამაზე ხომ მარადიული და უკვდავია! ასეთი ცხოვრება კი მაშინ შეგიძლია, თუ გიყვარს მოყვასი შენი!

შენ კი, ჩემო შვილო, რას სჩადი?! — ლოთობ ისე, რომ საკუთარი თავის ზედამხედველობა აღარ შეგიძლია!..

ლოთობა ადამიანიდან კეთილ სულს განდევნის და მხოლოდ ხორციელ ტკბობას ესწრაფვის. ხორციელი ტკბობით განებივრებული კაცი კი თავმოკვეთილს ჰგავს, რომელმაც არ იცის, ტანი მისი რას აკეთებს!

შვილო! შენ ჩვენი სისხლი ხარ და თავშეკავება უნდა შეძლო! შენი ჭაბუკური სისხლი მამულისათვის დუღს და არა — შხამის შესარევად!

ჩვენს ერს ღვინო ლოთობისათვის არ შეუქმნია! — იგი სიფხიზლის წამალია და სიდარბაისლის გაცხადების საშუალება!

შენ მამობაში უკვე ფეხი შედგი, შვილისათვის შენ ჭეშმარიტება უნდა იყო!

მამისგან შვილი ამაზე მეტ განძს არ უნდა თხოულობდეს!

შვილო, თუ სიკეთის მექვლეობას უარყოფ, შენივე უზნეობა გაგტანჯავს და რაც უფრო დავაჟკაცდები, წლებში შეხვალ, შინაგანი პატიოსნება შეგაწუხებს, აღარ მოგეშვება, გაგაწვალებს, გაგაორებს და ინატრებ ლამაზად ცხოვრებას, მაგრამ, ვაი, რომ შეიძლება გვიან იყოს! განვლილი ცხოვრება ჰორიზონტია — იგი კარუსელი არ არის, — შეახტე და ჩამოხტე!

შვილო, ჭაბუკისათვის მონანიება, ერის წინაშე აღსარება და შენდობა არასოდეს გვიან არ არის! შენს ნატერფალს სხვას ნუ მიუგდებ! — ეს ბოროტებაა! ერთხელ კიდევ გახსენებ: **სიკეთისათვის მოხვედი! ქართველი ერი სიკეთემ, სამართლიანობამ, მაღალმა ზნეობამ, სამართლიანმა ბრძოლამ, ჭეშმარიტმა გმირობამ, ცხოვრების ნატიფმა, ადამიანურმა წესმა მოიყვანა აქამდე და იცოდე: „ღ ვ ი ნ ო** შ ე ნ უ ნ დ ა დ ა ლ ი ო დ ა ა რ ა — ღ ვ ი ნ ო მ შ ე ნ!“

ავთანდილ ადეიშვილი

ნახ. შ. ლელაძისა

— ბატონებო! გეყოფათ ამდენი ნარდის თამაში! ახლა ვიდეოს ვუყუროთ, კაი კასეტა მოიტანეს!

წელო ახალო!

წელო ახალო, ბედნიერების,
მშვიდობის წელი გერქვას!
ძე და ასული დაგვიქორწინე,
ნუ დაგვიტოვებ კენტად!

შენ ააშორე კაცობრიობას
ბირთვული ომის ღელგმა
და აზეიმე დედაშვილობა
დედამიწაზე ყველგან!

ლილი აბზიანიძე

მიხეილ მესხი 50

ქართული ფეხბურთის ვარსკვლავს მიხეილ მესხს დაბადების 50 წელი შეუსრულდა.

გთავაზობთ მიხეილ მესხთან ჩვენი კორესპონდენტის ირაკლი ჭანტურიას საუბრის ჩანაწერს.

— გაგიკეთებიათ თუ არა ჰეთ-თრიკი?

— **დიახ, ერევნის „არარატთან“, რომელსაც მოვუგეთ 7:4, პირველი სამი გოლი მე გავიტანე.**

— კაცმა რომ სამი ბურთი საკუთარ კარში გაიტანოს, ჩაეთვლება თუ არა ჰეთ-თრიკად?

— **რა თქმა უნდა! ჰეთ-თრიკი ჰეთ-თრიკია — სამი ბურთი ხომ გაიტანა?! ხუმრობაგაშვებით კი, აი, რას გეტყვით: გოლი სასწაულია! საკუთარ კარში გატანილი გოლიც კი ემოციებს იწვევს — უარყოფითს, მაგრამ მაინც ემოციებს. ახლა კი უემოციო ფეხბურთია მოდაში, უემოციო და უმაყურებლო!.. დაიღალა ხალხი იმის ყურებით, როგორ შემტერებიან ერთმანეთს მეკარე და მთელი გუნდი; ხან მეკარე მიაწოდებს მცველებს, ხან მცველები — მეკარეს, ყოფილა შემთხვევა, [illegible]ინაალმდეგის საჯარიმოდანაც კი მიუწოდებიათ, უკან, მეკარისათვის. ამის საცქერლად ნორმალური ტელევიზორის პატრონი ნამდვილად არ წავა სტადიონზე!..**

— თქვენ თვითონ ბრძანეთ, ამ ბოლო დროს თბილისის დინამოელები ხშირად აწვდიან ბურთს მეკარეს. როგორ ფიქრობთ, მეკარისათვის ასე წამდაუწუმ ბურთის მიწოდება არის თუ არა უშრომელი შემოსავალი?

— **ნამდვილად უშრომელი შემოსავალია! ყოველი თამაში, რომელიც ხალხის თანდასწრებით ეწყობა, სანახაობაა! მაგრამ რა სანახაობაა იქ, სადაც სანახავი არაფერია?! პრაგმატისტებმა და ქულების მოანგარიშეებმა ფეხბურთს ესთეტიკური მხარე წაართვეს, ქულებს კი ის კაცი ტელევიზორთანაც კარგად დაითვლის!**

— თქვენ მარცხენა გარემარბად თამაშობდით! დაგვისახელეთ ყველა დროის საუკეთესო ქართველ ფეხბურთელთა ათეული, ვისაც თქვენს გვერდით ათამაშებდით!

— **ნაკრების შედგენა მე მხოლოდ იმ ადამიანებისაგან შემიძლია, ვისი თამაშიც ვიცი და მახსოვს. გადმოცემის და მონაყოლის მიხედვით გუნდს ვერ შევადგენ. ამ პირობით, მსოფლიო პირველობაზე თუ ევროპულ ტურნირებში მე ასეთ „ოვერიას“ გავიყვანდი: კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჩივაძე, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, დარასელია, იამანიძე, მეტრეველი, ყიფიანი, მესხი.**



ქუხდა!

ვით სტრიქონი შოთას ლექსის,
ქუხდა: „მესხი!“ „მესხი“!.. „მესხი!..“
ინთებოდა სტადიონი
მესხურ ცინცხალ ფინტთა ცვცხლით!..

და ჩვენ, მესხით მონუსხულებს,
მისით, მისთვის, მისგან შეშლილთ,
მზედ შინაც და მზედ გარეთაც
გვყავდა დიდი მიშა მესხი!..

ზაურ ბოლქვაძე

მეგობრული შარჟი გიგლა ფირცხალავასი

— ვინ მიგაჩნიათ ყველაზე კარგ მწვრთნელად?

— **ანდრო ჟორდანია!**

— ვის თვლით ყველაზე კარგ მწვრთნელად თბილისის „დინამოს“ არსებობის მანძილზე?

— **ანდრო ჟორდანიას!**

— ფეხბურთელთაგან, ვისაც თქვენ იცნობდით, ვის ჰქონდა ყველაზე დიდი იუმორის გრძნობა?

— **ჯუმალ ზეინკლიშვილს!**

— **ჩოხატაურის „ბახმაროს“ მეტი შანსი აქვს უმაღლეს ლიგაში გადასვლისა, ყვარლის „ღურუჯს“ თუ მოსკოვის „ლოკომოტივს“?**

— **სხვათა შორის, ეს საქმე სულაც არ მგონია სახუმარო! რატომ არ უნდა ფიქრობდნენ ჯარისკაცები გენერლობაზე? რატომ არ შეიძლება, იმავე ზუგდიდსაც ჰყავდეს ხვალ-ზეგ გუნდი უმაღლეს ლიგაში?! მოულოდნელი იქნება? არაფერი არაა მოულოდნელი საქართველოს იმ კუთხიდან, რომელმაც ქართულ ფეხბურთს მისცა მარღანია, ღოღობერიძე, ჯეჯელავები, ხურცილავა, ბარქაია... ასე რომ, ჯარისკაცები მარჯვედ უნდა იყონ!**

— **იმუშავებდით თუ არა ქალთა გუნდის მწვრთნელად და, საერთოდ, რა პერსპექტივები აქვს ქალთა ფეხბურთს ჩვენში და ყველგან?**

— **მე რატომ მეკითხებით ამას? ოთხი ქალიშვილის მამა რომ ვარ, იმიტომ? აი, თერთმეტი ქალიშვილის მამა რომ ვიყო, მაშინ ალბათ მეტს ვიფიქრებდი ამაზე! ისე ქალთა ფეხბურთზე ჯობს ქალებს ჰკითხოთ! მე მარტო ერთს ვიტყვი — მთლად კარგად არა მაქვს წარმოდგენილი, რატომ უნდა ვიპოვოთ თერთმეტი ქართველი ქალი, რომლებსაც ფეხბურთის სათამაშო დრო დარჩენიათ? თუმცა, როგორ ვთქვა და, ქართველი ქალები ნამდვილად არ ითამაშებენ ისეთ ლაჩრულ ფეხბურთს, როგორსაც ამ ბოლო დროს ქართველი მამაკაცები თამაშობენ! ჭადრაკისა არ იყოს, იქნებ სულაც ჯობდეს, ამიერიდან ფეხბურთიც მხოლოდ ქართველმა ქალებმა ითამაშონ! მათ, როგორც ეტყობა, ჩვენზე კარგად იციან, რაშია საქმე!**

— **რას უსურვებდით ქართველ გულშემატკივრებს?**

— **მე, ექვსი შვილის მამა, ქართველ გულშემატკივრებს ვუსურვებ გაძრავლებას! ბევრი თუ ვიქნებით, ფეხბურთელიც ბევრი გვეყოლება და არც დიდი გუნდების დაკომპლექტება გაგვიჭირდება! ღმერთმა ქნას, ჩვენი გუნდი ყოველ წელს მონაწილეობდეს ევროპულ ტურნირებში!**

62
28.1
87

ქარი ვარ, ველზე გაჭრილი,
და „აბოდები“ მაბოდებს!..
ჯერ „აბოდს“ ვლოცავ, მერე ბურთს,
ჯერ ბურთს და მერე „აბოდებს“!

არც გარინჩა ვარ, არც პელე,
არც მოყმე, ვეფხვის ნატორი! —
ვარ ვინმე მესხი მელექსე,
ბურთის პოემის ავტორი!

ნოდარ დუმბაძე
1964 წ.

7-87 87-62

საახალწლო აკროსტიქი

გ ილოცავთ, ყველას გილოცავთ ოთხმოცდაშვიდის
მოსვლასა —
ი ნჟინერს, მუშას, მეცნიერს, კოლმეურნეს თუ მგოსანსა!..
ლ ოცვა-კურთხევა ამ მიწას არ მოკლებოდეს აროდეს,
ო რჯერ და სამჯერ კი არა,—ათასჯერ უფრო ხარობდეს!
ც ას, მიწას, ოჯახს, ქვეყანას მშვიდი მშვიდობა შვენოდეს,
ა ხმაურებდნენ ბავშვები ეზო-ბაღებს და შენობებს!
ვ ისაც ერთი ჰყავს — გაორდეს, ვისაც ორი ჰყავს
გასამდეს!..
თ ვითონაც იცით, ცხრა ძმანი როგორ და რისთვის
გაზარდეს!

ა ხალი წელი, ახალი აზრი, გარჯა და ფიქრია;
ხ ალხის იმედი, ოცნება და სიხარული იგია!
ა მიტომ დილა ხვალისა გვესურვილება სხვაგვარი, —
ლ ამის დაჩლუნგდეს, თუ დროზე ვერ მოვიხმარეთ
ლახვარი!
წ უნი და უხარისხობა—არც ერთ საქმეს და საქონელს!
ე ს გულგრილობაც ვერაფრით ვეღარ მოვსპეთ და
ჩავქოლეთ!
ლამის წაგვიღოს ხანდახან სიტყვის და საქმის გაყოფამ,—
ს ინდისისაგან ნამუსი რომელმა ხელმა გაღობა?!

დ არი დაუდგა მშრომელ კაცს, ეს დარი უფრო
გადარდეს!..
ა ი, მაშინ კი, იცოცხლე, გავიხარებდით ათ ამდენს!
ე რთია, ყველას ეხება—ინსპექტორს, მგზავრებს თუ
შოფერს —
ს იზმარშიც არ შეარჩენენ იმ შემოსავალს — უშრომელს!
წ ელს რა ვთქვა?.. შარშან, შარშანწინ ბაზრებს სულ
ცეცხლი ეკიდა!..
ა თასი ვინმე ცხოვრობდა სასწორითა და ნეკითა!..
რ ოზგი და წკეპლა — წამგლეჯებს!.. და ვისურვებდი
ერთ რამეს:
ი თვლიდეთ ხელის თითებზე — ქურდს, ნარკომანს და
მექრთამეს!..
თ ავისას ყველა მიიღებს ლოთი — შფოთიც და ავარაც!..

მ დიდართა შორის ბევრს ვნახავთ ნიფხავ-პერანგის
ამარას!
რ ადგან ქართულობს ძირძველი ეს დალოცვილი
ქართული, —
ა რ შერჩენია არავის სხვის ბაღში ხელის ფათური!
ვ იცი, შენც დგახარ ფეხზე და სხვებიც გიდგანან
მხარდამხარ!
ა მგვარად ვიყოთ ყოველთვის, მუდამ და არა —
ხანდახან!..
ლ ოცვა-კურთხევით დავუხვდეთ ამ ახალი წლის
ალიონს!
ს ასმური დავაპირქვავოთ! დღეს ერთი ჭიქა დავლიოთ!..

ავთანდილ გურგენიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 1 (1731)), იანვარი, გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარ - რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე, (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.

●

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

●

გადაეცა ასაწყობად 5. 12. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 1. 87 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 2817 უე 05001. ტირაჟი 143.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ინდექსი 76137
ფასი 20 კაპ.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ